



03.11.2017

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

პირველი სამუშაო ჯგუფის
სხდომის ოქმი №1

1. პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრას ესწრებოდნენ

სახელი, გვარი	ორგანიზაცია
ლევან თევზაძე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ნაზი ჯანეზაშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
გიორგი მიქაუტაძე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
შოთა ქადაგიძე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
გიორგი პავლაძე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ნათია მახათაძე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ნათია ზურაბაშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ეკა ონიანი	ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი - კანონის უზენესობის მხარდაჭერა საქართველოში
ინგა თოდრია	ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი - კანონის უზენესობის მხარდაჭერა საქართველოში
სოფო წაქაძე	ევროპის საბჭო
უჩა ბახტაძე	ევროპის საბჭო
თამუნა თომაშვილი	ევროკავშირი
რუსუდან ტაბატაძე	ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო
მარიამ მხატვარი	ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
ოლიკო შერმადინი	საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო
ნინო დემურხანაშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

2. შეხვედრაზე განსახილველი საკითხები

- 2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიითა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ცალკეული აქტივობების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის წარდგენა;
- საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების (ევროსაბჭო და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG)) წარმომადგენლებთან შეხვედრა, სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ცალკეული აქტივობების შესრულების ხელშეწყობის მიზნით მათ მიერ გასატარებელი კონკრეტული ღონისძიებების განსაზღვრა შესაბამისი ვადების მითითებით;
- სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების სამომავლო გეგმებზე შეთანხმება, ამ მიზნით ჯგუფის წევრებს შორის დავალებების განაწილება და მათი შესრულების ვადების განსაზღვრა.

3. პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის მიმოხილვა

2017 წლის 3 ნოემბერს პირველი სამუშაო ჯგუფის სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად გამოცხადდა ჯგუფის 6 წევრი: ლევან თევზაძე, ნაზი ჯანუაშვილი, გიორგი მიქაუტაძე, შოთა ქადაგიძე, გიორგი პავლაძე და ნათია ზურაბაშვილი. კვორუმი შედგა, კენჭისყრის შედეგად ჯგუფის დამსწრე წევრთა სრული უმრავლესობით სხდომას შემოუერთდნენ შემდეგი ორგანიზაციის წარმომადგენლები: ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი - „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“, ევროსაბჭო, ევროკავშირი, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო.

ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს და ინფორმაცია მიაწოდეს ერთმანეთს 2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიითა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ცალკეული აქტივობების შესრულების მდგომარეობის შესახებ, განისაზღვრა შესასრულებელი სამუშაოები კონკრეტული ვადების მითითებით.

4. პირველი სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა შემდეგზე

პირველი სამუშაო ჯგუფის სხდომაზე გადაწყდა, რომ *ევროპის საბჭოს* პროექტის „სასამართლო რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ და *ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს* პროექტის ფარგლებში „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) ჩატარდება კვლევები 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული შემდეგი აქტივობების შესახებ:

1. უზენაესი სასამართლოს წევრების კრიტერიუმების დახვეწა (2018 წლის მარტი);¹
2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებლობის, სტატუსის, კომპეტენციის, დაკომპლექტების წესი და მისი ანგარიშვალდებულების განსაზღვრა (2017 წლის დეკემბერი);²
3. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესის, შემადგენლობის, წევრების არჩევის/დანაშინების კრიტერიუმებისა და პროცედურის განახლება (2017 წლის დეკემბერი);³
4. საბჭოს წევრების თანდათანობითი განახლების მიზანშეწონილობის კვლევა და საჭიროებისამებრ ამ პრინციპის დანერგვა (ინსტიტუციური მეხსიერების განგრძობადობისთვის) (2017 წლის დეკემბერი);⁴
5. სკოლის მსმენელების, მოსამართლეობის კანდიდატებს შორის კონკურსის დროს გადაწყვეტილების დასაბუთების შესახებ წინადადებების მომზადება (2018 წლის მარტი);⁵
6. კანდიდატთა შეფასების დასაბუთების და მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ეფექტიანი მექანიზმის შექმნა (2018 წლის მარტი);⁶
7. მოსამართლის დაწინაურების ცხადი, გამჭვირვალე და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული სისტემის შემუშავება (2017 წლის ნოემბერი, დეკემბერი).⁷

ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში „სასამართლო რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ჩატარდება კვლევა 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული შემდეგი აქტივობების შესახებ:

1. მოსამართლეთა მუდმივი პროფესიული განვითარების სისტემის მეთოდოლოგიის შექმნა, არჩევანის გაკეთება შეფასების ფორმალურ და არაფორმალურ სისტემებს შორის (2017 წლის 14-15 ნოემბერი);⁸
2. მოსამართლისათვის ქმედითი მისაგებლის (legal remedy) უფლებისა და შესაბამისი პროცედურის შედარებითი კვლევა, მისი შემოღების საჭიროების განსაზღვრა (იმ შემთხვევაში თუ საფრთხე ემუქრება ან ირღვევა მოსამართლეთა დამოუკიდებლობა) და შესაბამისი შესწორებების შეტანა ორგანულ კანონში (2017 წლის დეკემბერი);⁹
3. სასამართლოს/მოსამართლის და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს/საბჭოს წევრების დამოუკიდებლობის დარღვევის, მათ საქმიანობაში უკანონო ჩარევისა თუ ზეწოლის

¹ პროგრამა 1.1.1-ის მესამე აქტივობა.

² პროგრამა 1.1.1-ის მეშვიდე აქტივობა.

³ პროგრამა 1.1.2-ის პირველი აქტივობა.

⁴ პროგრამა 1.1.2-ის მეორე აქტივობა.

⁵ პროგრამა 1.2.1-ის მესამე აქტივობა.

⁶ პროგრამა 1.2.1-ის მეოთხე აქტივობა.

⁷ პროგრამა 1.2.2-ის მეორე აქტივობა.

⁸ პროგრამა 1.2.2-ის მესამე აქტივობა.

⁹ პროგრამა 1.4.1-ის პირველი აქტივობა.

შემთხვევებზე რეაგირებისა და პასუხისმგებლობის სისტემის კვლევა და მისი შემოღების საჭიროების განსაზღვრა (2017 წლის დეკემბერი).¹⁰

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტის ფარგლებში „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) ჩატარდება კვლევა 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული შემდეგი აქტივობის შესახებ:

1. ექსპერტის მიერ ევროპული ქვეყნების გამოცდილების შესწავლა დაწინაურების განსხვავებული გზების თაობაზე და რეკომენდაციების შემუშავება (2017 წლის 11 დეკემბერი).¹¹

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამართლებრივი და მატერიალური უზრუნველყოფის სამართლებრივ საკითხთა სამმართველო მოამზადებს კანონპროექტებს და ჩატარებს კვლევას 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული შემდეგი აქტივობის შესახებ:

1. სასამართლოსთან დაკავშირებული კანონმდებლობის განვითარების პროცესში მოსამართლეთა ჩართულობის მექანიზმის დახვეწა (იხ. ხარისხის თავი - კანონმდებლობის განვითარების მხარდაჭერა) (2017 წლის 15 ნოემბერი);¹²
2. წინადადების შემუშავება, რომ სასამართლოს ბიუჯეტი თავისი ოდენობით არ შეიძლება იყოს წინა წლის ბიუჯეტზე ნაკლები (2017 წლის 15 ნოემბერი);¹³
3. წინადადების შემუშავება სასამართლოს ბიუჯეტის წინადადების შესახებ მოლაპარაკებების პროცედურაზე და ასევე სასამართლოს უფლებაზე, პირდაპირ წარუდგინოს პარლამენტს თავისი ბიუჯეტი, როდესაც მთავრობა უარს ამბობს გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე (2017 წლის 15 ნოემბერი);¹⁴
4. სასამართლოს თავმჯდომარეთა თანამდებობაზე გამწესების პროცედურის, ვადების და კომპეტენციის თაობაზე არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება (2017 წლის 15 ნოემბერი);¹⁵
5. მოსამართლეთა ანაზღაურებისა და საპენსიო საერთაშორისო მოდელების თაობაზე კვლევის განხორციელება (2018 წლის მაისი);¹⁶
6. ინტერესთა კონფლიქტის წესების განახლება (იხ. ანგარიშვალდებულების თავი) (2017 წლის 15 ნოემბერი);¹⁷
7. კვლევის ჩატარება, მოსამართლეთა მონაწილეობით, მატერიალური თუ საპროცესო კანონმდებლობის ნორმათა იდენტიფიცირების მიზნით, რომლებიც ზღუდავს მოსამართლის მიხედულების ფარგლებს და არ იძლევა შინაგანი რწმენის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას (2018 წლის ივნისი);¹⁸
8. ღონისძიებების გატარება, რომ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ კონფერენციებზე სისტემატიურად მოიწვიონ რეგიონის მოსამართლეები (2017 წლის 15 ნოემბერი);¹⁹
9. „სასამართლოსადმი უპატივცემულობის“ ინსტიტუტის დახვეწის საჭიროების კვლევა და საჭიროებისამებრ გაუმჯობესება (2018 წლის ივნისი).²⁰

¹⁰ პროგრამა 1.4.2-ის პირველი აქტივობა.

¹¹ პროგრამა 1.2.2-ის პირველი აქტივობა.

¹² პროგრამა 1.1.3-ის მეორე აქტივობა.

¹³ პროგრამა 1.1.4-ის პირველი აქტივობა.

¹⁴ პროგრამა 1.1.4-ის მეორე აქტივობა.

¹⁵ პროგრამა 1.2.2-ის მეოთხე აქტივობა.

¹⁶ პროგრამა 1.2.4-ის პირველი აქტივობა.

¹⁷ პროგრამა 1.3.1-ის მეორე აქტივობა.

¹⁸ პროგრამა 1.4.1-ის მეორე აქტივობა.

¹⁹ პროგრამა 1.4.1-ის მეხუთე აქტივობა.

²⁰ პროგრამა 1.4.2-ის მეორე აქტივობა.

5. თანდართული დოკუმენტები

- პირველი სამუშაო კვლევის 2017 წლის 3 ნომბრის შეხვედრის დღის წესრიგი.

თანამომხსენებლები:



ლევან თევზაძე



ნანი ჯანუაშვილი

სხდომის მდივანი:



ნინო დემურხაშვილი

I სამუშაო ჯგუფის შეხვედრის დღის წესრიგი

შეხვედრის ადგილი:	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
თარიღი:	1 თებერვალი, 2018
დრო:	12:00 საათი

განსახილველი საკითხები:

I. 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების პროცესისა და მიღწეული შედეგების შესახებ მომზადებული ექსპერტიზის ანგარიშის, სამუშაო ვერსიის გაცნობა;

II. მომზადებული მასალების/პროექტების განხილვა;

III. სამომავლო აქტივობების დაგეგმვა.